



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

2017 წლის 4 ნოემბერი

ქ. ლაგოდეხი

ბრძანება  
N110

*ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ოფიციალური მიღებების და შეხვედრებისას, სადილით ან/და სასტუმროს მომსახურების უზრუნველყოფის ხარჯების გამოყოფის შესახებ*

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მესამე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ 21-ე მუხლის 1' პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N40 დადგენილების „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. გამოიყოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, „ოფიციალური მიღებების და შეხვედრებისას, სადილით ან/და სასტუმროს მომსახურების უზრუნველყოფის ხარჯები“ 612 /ექვსას თორმეტი/ ლარის ოდენობით, რომელიც გამოყენებულ იქნა მუნიციპალიტეტში გამართულ ღონისძიებაზე მოწვეული სტუმრების მომსახურებისათვის /ამერიკის პროგრამა საქართველოს განვითარებისათვის/, მ/წლის 4 ნოემბერს. თანხის ჩარიცხვა განხორციელდეს ი/მეწარმე ელდარ შუბითიძის ანგარიშზე.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული გარემოებების არსებობა დადასტურებულია 2017 წლის 22 ივნისის მოხსენებითი ბარათით.
3. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურს დაევალოს, ბრძანების ფინანსური ნაწილის კონტროლი, წარმოდგენილი საანგარიშსწორებო დოკუმენტის ფარგლებში.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, მისამართი: სანაპიროს ქ. N24.

საკრებულოს თავმჯდომარე



გოდერძი ბარბაქაძე